ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 33-97

"27" დეკემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-69 დადგენილებით (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016065) დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულებაში" და დებულების:

1. მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ან იურიდიული პირის საკუთრებაში მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის გაცემა;".

2. მე-2 მუხლს დაემატოს „$მ^1$" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„$მ^1$) იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები, აგრეთვე „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე სპეციალური საშვის გაცემა;".

3. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„კ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ან იურიდიული პირის საკუთრებაში მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის გაცემა;

„ლ) იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები, აგრეთვე „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე სპეციალური საშვის გაცემა.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბოლო წლებში მოქმედ საკანონმდებლო აქტებში შეტანილმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს N 9-48 გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით ჩანაცვლების აუცილებლობა, რის გამოც შემუშავდა საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“, რომლის მიხედვით წესის მოქმედება იმ სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები, არ გავრცელდება „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზეც და სპეციალურ საშვს ორივე კატეგორიისთვის გასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. ამავე დროს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს N 9-48 გადაწყვეტილების მიხედვით საცნობი ნიშანი გაიცემოდა ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებული M_2 ან/და M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისთვის, ხოლო საკრებულოს დადგენილების ზემოაღნიშნული პროექტით სამსახურის მიერ საცნობი ნიშანი გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ან იურიდიული პირის საკუთრებაში მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულებაში, რის გამოც შემუშავდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელია სპეციალური საშვების და საცნობი ნიშნების დაბეჭდვა.

პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.